

F-343

1998

საქართველოს
საქართველო
საქართველო

დეტა

№3 მაისი-ივნისი 1998 წელი

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
ხატობლად თავისადამ:
ვის არის, ხედავ მოხუდა,
ხედავ არის, წავა ხედავ?



შენი მინს ყივილი



თანობ ჩალაური

საიდან მოდის მდინარე,
 ხან წუნარი, ხანაც მძვინვარე,
 სად არის წმინდა ხათავე, -
 დაუჭერელი სადავე?!
 შეილმა კი უნდა იცოდეს
 მამა-მამათა ვსა-კვალი,
 რა ცეცხლის აღზე იწოდნენ,
 რა უანა ჰქონდათ საქალი...
 ვინ ვართ და რა მოგმისანი,
 რა ფეხვის ამონაუარი,
 საით მიგვაფრენს მისანი,
 სად გვიძვეს ვსა-ვასაური.
 შენია მიწის უივილი,
 თავისუფლებაც შენია,
 ბრძოლით დაიცხრე ტკივილი,
 ვაღთა უფლისა გფენია.
 საიდან მოდის მდინარე,
 ხან წუნარი,
 ხანაც მძვინვარე,
 სად არის წმინდა ხათავე,
 დაუჭერელი სადავე?!

დაიხსომე პატარავ!

სამშობლო გაქვს ერთადერთი,
 ერთი დმერთი, ერთი რწმენა,
 დედაც ერთი,
 მამაც ერთი,
 ერთადერთი დედაენა.
 მაცდურად გუავს
 ბევრზე ბევრი,
 მოჰურნე ხომ უთვალავი,
 მარჯვნივ - მტერი,
 მარცხნივ - მტერი
 ბოროტი და ავზე ავი.
 დაიხსომე,
 შენც ერთი ხარ,
 და შენ უნდა ახახელო
 დედა, მამა,
 ერთი, დმერთი,
 ერთიანი საქართველო!



F-543
1998

ეკლესია-ღვთის სახლი



დიდება ჯვარსა შინსა უფალო!

ნანა ჩარკვიანი



F-6599

ჯვარი არის ჩვენი, ქრისტიანების სათაყვანებელი.

ჯვარი აგვირგვინებს ყველა ქრისტიანულ ტაძარს; თვით ტაძრებს ხშირად ჯვრის ფორმა აქვთ. ჯვარი ამოკვეთილია ქრისტიანული ტაძრების კედლებზე, შესასვლელიებისა თუ სარკმლების თავზე, ხატებსა თუ მოხატულ კედლებზე, საკუთხეველებსა და გუმბათებში, სახარებაზე თუ სხვა საღვთისმსახურო ნივთებზე, ღვთისმსახურთა შესამოსელზე, მღვდელმთავრების კვერთხებზე, სასაკმეველებზე, შანდლებსა და ემბაზებზე, საეკლესიო ჭურჭლებზე.

ჩვენი წინაპრები არა მხოლოდ ტაძრებსა და საეკლესიო ნივთებს, არამედ საკუთარ სახლებს, ავეჯსა და ტანსაცმელს, შრომისა და ბრძოლის იარაღს - ყველაფერს ჯვრით ამკობდნენ. ჯვრებს აღმართავდნენ მთებზე და გაზაფხვარედინებზე, რომ გარემო მთელი არემარე დაეცული ყოფილიყო ჯვრის ძალით.

ჯვარი ქრისტიანს თან სდევს მთელი ცხოვრების მანძილზე - დაბადებიდან გარდაცვალებამდე. დაბადებიდან მერვე დღეს ახალშობილს სახელის დარქმევისას ჯვარს გარდასახვენ, ასევე ჯვარს სახავენ ადამიანს ნათლობისას; მორთვის ცხება შუბლზე, გულზე, ხელზე, თუ ფეხებზე ჯვრის სახით ხდება. ჯვარი უნდა გადასახოს მღვდელმსახურმა ადამიანს, რომელიც აღიარებს და ინანიებს ცოდვებს; მორწმუნემ ზიარება გულზე ხელეზგადაჯვარედინებულმა უნდა მიიღოს, ჯვარი

უნდა დაინეროს ადამიანმა ქორწინებისას, ყოველთვის, ლოცვისას ქრისტიანი პირჯვარს გადაინეროს ხოლმე. პირჯვარს ვინერთ ქრისტიანები არა მხოლოდ ეკლესიაში, არამედ ნებისმიერი საქმის დაწყებისას და დამთავრებისას, იქნება ეს სწავლა თუ მუშაობა, ჭამა თუ ძილი; პირჯვარს ვინერთ განსაცდელისა თუ ავადმყოფობის დროს, სიხარულისას თუ მწუხარებისას. ყველა ქრისტიანს ჯვარი გულზე ჰკიდია და ბოლოს, ქრისტიანის საფლავზეც ჯვარია ხოლმე აღმართული.

რატომ გვიწდა ქრისტიანებს, რომ ჯვარი იყოს ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი, რატომ გვიყვარს და ვადიდებთ მის ძალას? იმიტომ, რომ უპირველესად ჯვარი იესო ქრისტეს ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. თუ თქვენ მოინდომებთ ფრესკებსა და ხატებზე მაცხოვრის სახე გამოიკვროთ, იცოდეთ, რომ მხოლოდ მასა აქვს შარავანდედი ჩახაზული ჯვარი.

შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს კიდევ - როგორ შეიძლება თავყანი სვე ჯვარს, რომელზეც იესო ქრისტე ავსაზეთის მსგავსად გააჯვრეს და ტანჯვით მოკლეს.

მოდიოთ, გავისწავლოთ, რატომ განკაცდა ღმერთი? იმიტომ, რომ ადამიანი გადაერჩინა სიკვდილისაგან. სიკვდილი ჩნდება ცოდვისაგან. ცოდვა კი არის უსიყვარულო ცხოვრება. სიყვარული არის სხვაზე ზრუნვა, სხვისთვის ცხოვრება. ვინც მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობს, იმას მხოლოდ საკუთარი თავ-

საბარძილო
მნიშნული
ბიბლიოთეკა



ვი უყვარს. ასეთი ადამიანი ბოლოს სრულიად მარტო რჩება მონყვეტილი ღმერთისაგან და სხვა ადამიანებისაგანაც.

და აი, ღმერთი იმისათვის განკაცდა, რომ ეჩვენებინა, თუ რა ძალა აქვს სიყვარულს, რომ მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ადამიანი დაუბრუნოს ღმერთს, ადამიანი დაუბრუნოს ადამიანს.

ქრისტეს მთელი მისიერი ცხოვრება არის ჩვენი ზრუნვის, თავდადებისა და თავგანწირვის მაგალითი. მაცხოვარი კურნავდა ბრძემბას და დაერდომილებს, მწუხარებებს აიშემდებდა, უცოდინარებს ასწავლიდა, მკვდრებს აღადგენდა. ჯვარცმა არის ამ თავდადებული ცხოვრების გვირგვინი, სიყვარულის მწვერვალი. ქრისტემ არა მხოლოდ იცხოვრა ჩვენთვის, არამედ ჩვენთვისვე მოკვდა. როგორ შეიძლებოდა, რომ ღმერთი მომკვდარიყო, ღმერთი ხომ სიცოცხლე და სიცოცხლის მომცემელი? ღმერთმა თვითონ იწება სიკვდილი. ღმერთმა ისურვა, რომ თავის თავზე განეცდებ, გავზიარებინა ყველა ადამიანური უბედუ-


რეტი ხომ ცოცხალი, სიკვდილი, ბოროტობა და მარცხა.

ქრისტეს მიერ ჯვარი იქცა სიყვარულის, თავისთვის თავდადების ნიშნად, უფალმა ხომ ჯვარზე ჩვენივე გასწორა თავი.

სწორედ ესაა უდიდესი სასწაული, როცა ღვთის მადლით უდიდესი სისასტიკე გადაიქცევა სიყვარულად, ცოცხალი მადლად, სიკვდილი - სიცოცხლედ.

ქრისტეს მიერ მისი ჯვარცმითა და აღდგომით იგივე ძალა გვენიჭება ჩვენც, ქრისტიანებს. იმისათვის, რომ ეს ძალა გახდეს ჩვენი საკუთარი ძალა, ჩვენ უნდა გავინდოდეს, ვიცხოვროთ ქრისტეს მსგავსად, ვიცხოვროთ არა საკუთარი თავისათვის, არამედ ერთმანეთისთვის, ღმერთისთვის. პირველის გადანერა უნდა იყოს ამ სურვილის გამოხატულება. ჯვრის ვერტიკალური, ე.ი. სიმაღლისაკენ მიმართული ხაზი ნიშნავს სიყვარულს ღვთისადმი, ხოლო ჯვრის ჰორიზონტალური, ე.ი. განივი ხაზი ნიშნავს ადამიანებისადმი სიყვარულებს. ჯვარი არის ამ ორი სიყვარულის ერთობა.

ეს ის სიყვარულია, რომელიც გვიცავს



რება - დამდაბლება, შეურაცხყოფა, სიცრუე, უსამართლობა, დღალატი, სისასტიკე და ბოლოს, სიკვდილი. ჯვარცმა იყო უკიდურესი საფეხური ადამიანების სისასტიკისა, მათი უსიყვარულობისა, მათი ცოდვით დაცემისა. მაცხოვარი ემგევა ამ უფსკრულის ძირამდე, რათა იქიდან ამოიყვანოს ადამიანი. იესო ქრისტემ არის სრული ღმერთიც და სრული ადამიანიც. ის, რაც ბოროტმა ძალამ, ცოდვამ დააშორა ერთმანეთს, იესო ქრისტემ თავის თავში შეაერთა და გაათლიანა. მან შეაერთა კაცი და ღმერთი. უღმერთოდ ადამიანს არ ჰქონდა ძალა წინ აღდგომილად ცოდვას, სიკვდილს. ის განსრული იყო უმადლო, უსიხარულო, უსიყვარულო არსებობისათვის, სწორედ ეს არის ჯოჯოხეთი.

და აი, ღმერთი მოკლეს, მაგრამ ის მკვდრებით აღსდგა.

ღვთის ძალა, ღვთის მადლი ჰგავს სინათლეს; ხოლო სინათლე ყველაფერს ანათებს, რასაც კი ეხება. ასევე მადლიც, რასაც ის ეხება, ყველაფერს ღვთის ძალით ასხივოსნებს, ღვთაებრივი სიკეთით, სიცოცხლით ავსებს, ღმერთი ხომ სიკეთეა, სიცოცხლეა, სიყვარულია.

ქრისტეს მიერ ჯვარი იქცა ძლიერს, ე.ი. გამარჯვების ნიშნად, ქრის-

ტიანებისაგან, გვანიჭებს ძალასა და სიხარულს, და გვაძლევს მარადიულ სიცოცხლეს სასუფეველში მართალ ადამიანებთან, ანგულებებთან და ღმერთთან ერთად.

ვისწავლოთ პირველის გადანერა: შევადრთოთ სამი თითი - ცერი, საჩვენებელი და შუა თითი - ნიშნად იმისა, რომ ღმერთი სამება - მამა, ძე და სული წმინდა, მაგრამ სამება არ ნიშნავს, რომ ღმერთი სამია. როგორც ეს სამი თითი ერთად გვაქვს შეკრული, ასევე სამებც არის ერთი. სამი ერთად შეკრული თითი ჯერ უნდა მივიდოთ შუბლზე, შემდეგ გულზე, შემდეგ მარჯვენა მხარზე, მერე კი მარცხენაზე. შუბლი გამოხატავს ჩვენს აზრებს, გული - გრძნობებს, ხოლო მხრები, ანუ ხელები - ჩვენი საქმეებს. ესე იგი ჩვენი გონება, გრძნობები და საქმეები, მთელი ჩვენი ცხოვრება უნდა ემსგავსოს ჯვარს, ჩვენი ცხოვრება უნდა ემსგავსოს სიყვარულს, ემსახუროს ადამიანებსა და ღმერთს, მით უფრო, რომ ღმერთს პირველად შეგვიყვარა, მოგვანიჭა სიცოცხლე, ჩვენივე განკაცდა, ჩვენი ცოდვების სანაცვლოდ დაისაჯა და ამ თავგანწირვის ძალით მოგვიპოვა მარადიული სიცოცხლე.

დიდება ჯვარსა შენსა უფალო, ამინ!

მსატყარი ელვარა ამბოკაძე



მზეპარა

მზეს როცა გადაეფარა
დიდი ღრუბელი ლევა,
იმ ღრუბლის ჩრდილი დაუცა
ყვავილეების ზეგანს,
ყვავილეებს ბუა ვგონათ,
ფოთლებში შეიმაღლენ,
მაგრამ როდესაც წკაპუნა
წვიმა ეწვიით მალე,
და ფოთლის ხამალავიდან
გამოიჭყიტეს ხელად,
გაოცდნენ, - ცაზე მზეც ჩანდა,
წვიმაღ და ცისარტყელიც.

ლელი კობალაძე

ჯაბა და მირცხლეები

ნაკირებს და ჩადგეს ბუდე,
შოაწონეს თავი ჯაბას,
არც ნისკარტი გაიმრუდეს,
არც დაზოგეს შრომა-ჯაფა.
ფისუნიათ, თვალს რომ ნაბავს,
თუ არა აქვს ბიჭის ხათრი,
დააყენებს შავ დღეს ჯაბა,
აბა, ახლოს შერცხლებს თათი...

მხატვარი მარაჯან ჟილაშვილი

საქართველოს
განათლების




ლელი ჯაფარაშვილი

უძარდალი ციყვი

ბაწია ციყვი ვაშრისთვალემა
ხან ტოტზე დახტის, ხან გეშაღებმა,
მერე ჩაშოდის, კუნძზე დაჯდება,
თან კუდს აიბზეკს, რა ენადვლებმა.
ვირნებს აგორებს თვალემაპაქუნა,
კოპწია, ნაწი და კუდბუთქუნა.
თითქოს თავს გიქნევს და გეხაღმებმა,
მეგობარივით გუთამაშებმა.





მამალი



„მუკობის მუკობნი არ დილევა“

ქართული ანდაზა

ბავშვობა კარგი იყო, დრო - ცუდი, მაგრამ ომი და პოლიტიკა მოგონებებს ვერ ახსებს, ვერც აფერმკრთილებს; დრო დროა, ბავშვობა ბავშვობაა მაინც.

ქალაქში გვეჩინდა ეზო, საკუთარი სახლი, ჭამიკარი. ეს იყო ჩემი ციხე-სიმაგრე, თუმცა თავს არაფერს გვესხმოდა. ქარსიცხინა დაშვებში ირხილდნენ ხეები, მაკრიობდნენ ღაზღები და ქარის სტუნა-სისინი ძილისპირულივით ჩამქსმოდა. დამე დღეს ცვლილა, დღე - დამეს, მე-მოდგომას - მამთარი, მამთარს - გაბაფხული. ჩივი იკეთებდა ბუდს, შაშვი სკვეხდა. თქვენ-საეთი მეუკ მიყვარდა ცხოველები. ეზოში სხვა-დასხვა დროს გვეყავდა: ძაღლი, კატა, ქათამი, კურდღელი, ბუქიკა, ინდაური, კვარა, კუსი კი ახლა იქ გულწითელა ჩიგებია, მტრედია, შამვიდა. შინაური გარეულმა შეცვალა. ქათამი აღარ არის, - აღარც შინაური, აღარც გარეული.

ჩვენებულ ქრთი დედალი თუ ვინახავთ? მის გარეულ წინაპარს არ ჩამოვკარდებოდა ამგახობით და სისხარგით. ახლახელ ნანკუბატორად, ღონღლო ჯიმსისას კი არა ჰგავდა! სოფელში ჭოლოკით დასდევდნენ. იყო შლიგინი ნაყინეუმი და ჭოლოკის მუზუნ-სისინი. რა ამბაფს აგებდა კვერცხის დაღების შემდეგ ხოლმე. კაკანებდა ვაბმულად, ბუღიდან ამოვლებულივით, თითოქო ეს ჩამოქცევა, ოქროს კვერცი გამთავართა თითოქ.

ვარიკა? ვარიკელა. ნაცრისფერი, თავიკისერმე ბუმბულაწყობილი; ყლუკ-ყლუკით სვამს წყალს. ყოველი ყლუკის შემდეგ პაგარა, ღამამ თავს აბეგრეს ცისკენ, მადლობას ეუბნება შემოქმდს. ქათმის სიმღერა თუ მოვისმენიათ? ღლიძებს ცალფა ხმით ყველაფრით კმაყოფილი, აღმავალ-დაღმავალი მელიდითი, დეგებიანი მამალი - მოხატული, წყითლმომწვანო ფრთებით, ღიდი ბიბილოთი, მკორღმე ნიავისაგან აშლილი თხელი მოყავისფრო ბუმბულოთი, მამალი - მხედარი, ვაკეკანის დაღვის წარმო-მადგენელი. ცალ ფრთას გააფხოკიალებს ხან-დახან მაწამე თვალებს ბრაბით. მარცვალს ამთავლებს ბალახიდან და დღეღობს ეპაგეკედა, აქ არი, აიღეთო. ნაწილს არ ჩაუშვებს ჩინჩინები და როგორ იმრდება იმოდენა?! დამეს

რომ გაათენებს ყივილით, ღობეზე გაღმომ-ღვარს უკმელობას ვით შეკადრე!

კრუხ-წივილა:

თეთრევითელა, ბავშვის მუშისტოლა, ჩრია წიწილეს რომ შეისხამს წვიმის დაწყებამდე ფრთებქვეშ... როგორ და რახაირად ამქურდო-ებს იმღეს. მაწაწინტელა თავი აქვს გამოყოფილი ერთს დღის ფრთიდან. იქიდან ხედავს გაყრიბებულ სამყაროს ყაყაჩოს მარცვლის-ღარი თვალებით.

ერთხელ იმ ჩვენს ეზოში ერთმა დედალმა კისერმოდლეგილი, ყინტორა, „ჩინური“ წიწი-ლები დაწეკა. შეიდი შეირჩინა, შეიდი მოცო-რობი, შეიდივე ყვინილა, - მალეები, კისერ-ღამუღამინებულნი. ისეთებს კიგათა ქათმებს ვეძახდით მაშინ.

დაიწყეს ცხოვრება ჭინთევა-ყივილით, ერთმანეთთან ანგარიშსწორებით. ერთმა გან-სრულმა, როგორც ჩანდა, სხვებზე ღონიერმა ყვინხლამ, ცა ქედად არ ჩაავლო, დეღამიწა - ქალამხად, გაყოფილად, დეღამიშვილები და-ჩაგრა. ერთმა ყლანწა მამალმა შეუბრუნა ერთხელ ნისკარტი და იმას დღე დაადგა, მტრის კარს! დაითრია ბიბილოთი, მიწაზე არახხუნ-ბია თავი, წახხდინა და ვერ დაავლახა. ყლან-წამ დახარჩენებზე იმია შური, თუმცა იმით - დანარჩენებს - პირველობისაკენ სწრაფვა ვერ შეუგაგვევ ადგილებზე ისევე გახაწილად: ღონი-ერი მამალი, ყლანწა მამალი და დანარჩენები. და იმ იერარტიული წყობით წავიდა ცხოვრება საქათმეში... დავიმახსოვროთ: ღონიერი მამა-ლი, ყლანწა მამალი. ღონიერს კიგათა პირე-ლი დაავარქვი, ყლანწას კიგათა მეთრე. და-ნარჩენებს მამალი და სხვა არაფერი. არადა, თქვენი ხვდებით, რად უხლოდა იმ ერთი ხე-ღლისგლისტოლა ეზოს შეიდი მამალი და ორი უფროსი. ვერძობილი, აღრე თუ მალე დარ-ღველიდა ეს იერარტიული წყობა და დილია სა-მამლეითია.

ახეუ მოხდა: არეხანე გამოვიდა მემობელი მლოტეკნისობა, სახელად გარახი. იგი რაიონ-ში, აღბათო რომელიღაც მუერნიობაში მუშობ-და და ქალაქში კვირა-ქუჩებსა და სადღესასწა-ული დღეებში გაილანდებოდა მხოლოდ.

მოვიდა ეს გარახი, მხარბეჭიანი, ხმელი, მა-



ხალი გარსი და უნდა მათხოვით მამალი ხაიშოლო. ღონიერს - კიგაია პირველს და-
აღვა თვალი. უარს ხომ ვერ ვეგყოლით. გა-
მოუყუანე ყლანა, კიგაია მეორე არაო, თუ
თხოვებაა, ის მათხოვით, პირველით (მოთგე-
ქიოს რას მოგეყუენდი), და წაიყ-
ანა კიგაია პირველი. გულანაყვეცილმა გა-
ყაოლე თვალი. ქათმის გათხოება კიდევ
ა. შესმის, მაგრამ თხოვება გაივითა?!
მორჩა. ვეღარ ვნახავე-მეთი, ვიფიქრე, კარ-
ვა ხანი მართლა ვეღარ ვახე. ვერ ვხედავ
დი და მასსოვდა, გამახსენებოდა, გულს
ნალველი შემომაწვებოდა. რა ბუღი ეწია-
მეთი, ვეღარღობდი: შეიძლება პარამხანაში,
შეიძლება ბაე-წვენიში ამოყო თავი.

ღარჩა ბურთი და მოვლანი კიგაია მეო-
რეს, ყლანას. დაჯდა გახგბე მუფურად. უფ-
რო მკერდად დაიწყო უფროსობა, ხეთი მამ-
მლის უბრაპაგრობა: მირთოლენი კალნიერ-
რისათვის სჯიდა, ნისკარგის ერთი დარ-
გებით არეგიახებდა ხოლმე თანამომქით.
სად არი, ვფიქრობდი, კიგაია პირველი, შენ
გახეხებოდა სეირს. სად იყო ჩემი ფალაიანი?
პარამხანაში თუ ბაე-წვენიში?!

მოხდა სხაწაული და კიგაია პირველი
დაბოუნდა. შავი „სუმკით“, მარიაშობა თვის
ბოლოს, ღამის თორთმეგ საათზე, თქვენ
რომ გინახეთ ხოლმე, იმ დროს მოარბობა ბა-
გონმა გარასიმ. წაიყენა, ბიძია და მალღობე-
ლი ვარ შენი ნამეგახიო, ჩაიხლიჩინა და მამა-
ლი გაღმომაწოდა ღობიდან. „სუმკა“ დაფერ-
თინა, კიდევ ხომ არაფერია მიჯო, სხვა რაღა იქ-
ნებოდა, თუმე პურის ფინჩები და ალბათ
სკლანტეი, ღამეში ბანაინანები რომ მეგონა,
ქე გაღმომევიდა იქიდან.

მეიყიებე ჩემი მამალი შინ. დაღლილს, ნამ-
გზავრს, თერჯოლის აგობოუსში ჩახუთულს, ნა-
ჯახჯდარეუს ფეხზე დგომის თავი ადარ ქონ-
და. გახეხგერეული იდგა, ეღექტრონის მუქით
თვალაგრილი, რაღაცას იხსენებდა; სად ვარო,
ახგარიშობდა. ახლავე გავაგუბინებ სადავ ხარ-
მეთი, ვავიფიქრე. წავედი საქათმეში, ჩამოვ-
სვი ქანდარიანი კიგაია მეორე და დავუსვი
წინ. უყურეს, უყურეს ერთმანეთს. იყენეს, ვერ
იყენეს. უფიქრობ, ვერ იყენეს, თორემ ჩხუბს არ
იბამდებ.

დაეგატენ ბოლოს ერთმანეთს. დაეგატენ,
მარა რა დავეგატენ! აგვად ძიძგილ-ძიძგილი...

და აჯობა მეორემ. დაღლილმა, ნამგზავრმა
ფალაიანმა შეწყვიტა ბრძოლა. შეაქცია კურტ-
ში მოქანალმეგვს და შეტერა საწულქემ.

გათენდება დილა და გაჩვენებს თავისას! და-
ვიქნადე გულწრფელილო. მამის ვერე მუ-
ხედი, რა გამოუსწორებელი მეცდობა დავუშევი:
ნამგზავრი, დაღლილი, შეწყუბული მამალი
შეგაძლე დასველები, ნამაგობე მამალს, მაგ-
რამ იქ ხომ არ მთავრდებოდა ყველაფერი, ხომ
გათენდებოდა!

გათენდა. გამოიმალენე, მორთის ყივილი,
გაღვიძებს ქვეყანა და შეუღნენ ყოველდღიურ
ცხოვრებას. სულ არ მადარდებდა მათი სოცია-



ლურ-ეიონიმიკური პრობლემები, წინაღმი-
ნდე ასპარეგობაზე. დღევანდელ რევიანზე
ეფიქრობდი და რა ვნახე: ჩახსებ კინკრონიში
კიგაია მეორემ გაბაია პირველს და გააგლო.
რას შერები-მეთი, მეუბნებე, - მიდი, აქა ვარ,
- ფხითიე წავებიძვე ფალაიანს. ვერაფერს
გახეხი. კიგაია პირველმა დამარცხებულად
ცხო თავი, უბრძოლველად დაგოვა არენა.

ჯოგური ცხოვრების მიმღვევარ ცხოველებში,
პრიმატებში (მაიმუნებში), ჩლიქოსხებში, ფრინ-
ველებში - საქათმეში (თუ ქათამს ფრინველი
შეიძლება ეწოდოს) პირველობისთვის ბრძო-
ლავა. ბელალობას ჯერ მოთოვება, შემდეგ შე-
ნარჩუნება სჭირდება. დამარცხებული, ღებეი-
ანი, წითელ-მწვანე მამალი, ყინი ქი არა, გენე-
რალისიმუსი იყოს თუნდე, უყოყმანოდ თბობს
გახგს და ადგილს უფრო ღირსეულს (ახალგაზ-
რდას, ღონიერს, ვიზირს) უთავისუფლებს. რე-
ვანში, შურისძიება, სამეფაროს გაღახდა, ჩა-
საფრება, მურგში დანის ჩაყვმა, თანამრახვე-
ლების შეკრება, შეთქმულება, სახეც და სხვა
ადამიანთა რთვი და წესია. დამარცხდება და,
გადაღვება ცხოველი. ადამიანი, ავისისნით,
სხეინარიად იქცევა.

ჯიხებებს ჭილილი ხომ გინახავთ გლეგერა-
ნებზე: ერთი ღვას, ელის. მეორე თავს ესხმის.
გამოქიანდება და უსკრულის პირას მღვარ მე-
გოქეს რქას რქაზე მიაღწევას. რქათა ჯახანი
ხევიდან ხევემ გადაიგროვალეს ხოლმე, თავ-
დამცველი თუ გვერდზე გადა, თავდასხმელს
თუ რქები არ შეაგება, მეგოქე ხევიმ გადაიხე-
ხება... ეს არ მოხდება. ჯიხე ამას არ ჩაიდენს,
წესს და ადამის არ უღალატებს. იმიტომ ქი არა,
რომ ვანდაგავა არ იყოს, იყოს და არ აკეთებს.
ბუნებამ დალაგა არ ასწავლა.



მატანჯული ჭადარი

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



სულ პაგარა იყო ჭადრის სერგი, მაიაკოვსკის პარკში რომ დარგეს. იმრღებოდა და ღამამღებოდა იგი და ბოლოს პარკის ყველა ხეზე ღამაში და ამაყი გაიმზარდა.

პარკში ბევრი ფრინველი ბუდობდა: მერცხლები, შამუები, გუგულუბი, ბუღურა ჩიტები. მერცხალი გამაფხულის მოსვლას პირველად ამ ჭადრის ახარებდა, შემდეგ მთელ პარკს ამყნობდა. შამთრის მიწურულს, მარტში, ჭადარს არც კი გაღვიძებოდა, გრაქტორების გუგუნი შემოესმა, გარშემო შიმოხებდა, მაგრამ ვერაფერს მხებდა, ვერ მხებდა, თუ რა ხლებოდა მის გარშემო, რას უპირებდნენ საბრალოს.

უეცრად, რკინის ურჩხულმა ბრჭყალები მოაგლო მის ფესვებს და მძლავრად ამოქანა მიწიდან.

- ვაიმე დედა, - ამოიკენხა ჭადარმა.

შეღეს იგი მანქანაზე და წაიღეს.

ბუნებამ გამოიღვიძა, გამაფხუვდა, ყველა ცოცხალ არსებას უხაროდა მოსული გამაფხული. მაგრამ მაიაკოვსკის პარკში სიჩუმე სუფევდა, ღუმლი იყო გაქვევებული მის მდამოებში.

აღარ ჭიკჭიკებდა მერცხალი, რომელსაც ასე სწყევროდა გამაფხულის მოსვლა უხარებინა ჭადრისათვის, აღარც ხეების ფოთლები შრიალებდნენ, ღუმდა ეს უღამაშესი, მაგ-

რამ თბლად დარჩენილი პარკი.

ამ დროს ჭადარი თბილისის ღამამ ადგილზე - რესპუბლიკის მოედანზე მიიტანეს და ორ საგზაო გრაას შორის, ერთ ღამამ, ქვით მოპირკეთებულ ადგილას დარგეს.

ჭადარი ბევრს სერვიულობდა, ვერ ხელებოდა, რა უნდოდათ მისგან აღამიანებს, სულ ამას ფიქრობდა, დარღობდა:

„უი, ახალი ადგილი! ამას მე ვერ გაეუძლებ, თუ ჩემი ამხანაგები გვერდით არ მეყოლა, ვერ ვიარსებებ!“ - შწარ-გტილი მოგონებები სგანჯავდა ბეჩავს... მაგრამ თავს სძლია, გული არ გაიგება, შეინარჩუნა თავისი სიღამაზე ძველებურად მწვანე ფარნის კაბა ჩაიცვა და თავისი თანდაყოლილი სიღამაზე, აჰ, ახალ ბინაში, ახალ კერამი გამოამშურა... ხანში შესული, გატანჯული ჭადარი ისევე ახალგაზრდა, ღამამ, მომხიბვლელ ხედ გადაიქცა.



გია ლომთათიძე
7 წლის

თამარ ნიკლაური

V კლასის მოსწავლე

მატარი თამარ ძალღანი





მეოცნება ბიჭი

- იყიდეთ ქუდა! რასაც გაიმეტებთ, ყაბუღსა ვარ, სხვა თუ არაფერი, თქვენს საოჯახო გარდერობს მაინც დაამშვენებს... ზედ ნაანერეთ: თავის დროზე ეს [] მეოცნების სარქველი იყო და სიცივისაგან იფარავდათქო; იყიდეთ! [] იქნებ თქვენც დაგებდოთ სურვილი ოცნებისა... იყიდეთ! რასაც გაიმეტებთ, ყაბუღსა ვარ.

ვილაც პიჟონი მამაკაცი უთვლთვალუბდა მეოცნებეს და რაკილა დარწმუნდა, არავინ ყიდულობდა ქუდას, თვითონ იყიდა.

მეორე [] ისევე გამოჩნდა ბაზარში მეოცნებე ახლა დახეულ ფრენჩს ყიდა.

- იყიდეთ [] რასაც გაიმეტებთ თანახმა ვარ, სხვა თუ არაფერი, მუხუშისათვის იშვიათი ეგზემპლარია. ზედ ნაანერეთ: თავის დროზე ეს ფრენჩი დიდ სამსახურს უწევდა მეოცნებეს, როცა მას აუდიენცია ჰქონდა მეფის ასულთან - ზედ მისი ცრემლების ნაკვალევია. იყიდეთ!.. იყიდეთ!.. იქნება თქვენც დაგებდოთ მზეთუნახავის ხილვა.

უცნობი პიჟონი ისევე ასდევნებოდა მეოცნებეს, და როცა დაინახა, ხელჩაქეული [] ბაზრის დატოვებას აპირებდა, იყიდა ფრენჩი.

მესამე და მეოთხე დღესაც ისმოდა მეოცნების სმა: იყიდეთ შარვალი!.. იყიდეთ პერანგი!.. მოშურნე მამაკაცმა თანდათან ყველაფერი გაუსალა, რასაც მეოცნებე ყიდა: [], [], [] და ნარმოიდგინეთ, პერანგის ამხანაგიც კი დარჩა მეოცნებე ტიტელის საინტიერსოა, რას გაყიდა დედისობილად დარჩენილი მეოცნებე, თავი რომ გამოეკვება და უოცნება? და აი, ერთხელ, როცა არაფერ ელოდა ბიჭის გამოჩენას, იხვე გაისმა მისი წკრილა [].

- იყიდეთ თავი! იყიდეთ ტანი! იყიდეთ ხელების! [] ყიდა

თავის სხეულს ნაწილ-ნაწილ იმადრე გაყიდული [], [], [], [], [] შესამგობად, რომლებიც უქმად ეციდნენ ვარადაში, - იყიდეთ!.. იყიდეთ!.. იყიდეთ!.. რასაც გაიმეტებთ, ყაბუღსა ვარ, სხვა თუ არაფერი, მანეკნად მაინც გამოგადგებათ, ღირსეულ საქონელს ღირსეული პატრონი უნდა.

გახიარა პიჟონმა, ჩალის ფასად შეიძინა ყველაფერი, რასაც ბიჭი ყიდა - თავიან, ხელებიან, ფეხებიანად. მიარბენინა სახლში, სწრაფად შემოსა მანეკნი ახლად ნაყიდი ფრენჩით, ფეხსაცმლით და ოქროს ოთახში გამოკეტა. მალე ბიჭის ოცნებასაც დაისაკუთრებდა, რომ მასაც კუცური ცხოვრებით ეცხოვრა, რადგან გაეგონა, ცხოვრება [] გარეშე წარმოუდგენელია.

არც ისე ადვილი გამოდგა ხელთ ეგდო ოცნება, რომელსაც არც სახე ჰქონდა, არც ტანი და მთლად შიშველი იყო. - ნაილე ფული, ოქრო, რაც გინდა, ოღონდ ჩემი გახსადი - ესვენებოდა შლაპიანი პიჟონი, რომელიც მთელ დუნიაზედ უმდიდრესი კაცი იყო, მაგრამ ოცნება არ შეეძლო. ოცნებას მწარედ ჩაეცინა და [] სიამოვნებით დაკითმობდი, მაგრამ მე ხომ ბიჭის ოცნება ვარ, სხვისი ოცნებით ცხოვრება კი შეუძლებელია, ვერ გაიხიარებ. თუ არ გჯერა, აბა სადაც გნებავს წამოვალ - და იგი უცხო მამაკაცს უსასყიდლოდ გამყვება, რადგან [] ფულზე არ იყიდებოდა. მდიდარმა პიჟონმა ოცნებას ფრთები შეაჭრა, არსად გამოფრინდესო, და მანეკნის გულით ვიბეძე ჩაღო.

მეორე დილით, როცა უგუნებოდ გაღვიძებულმა მამაკაცმა ოქროს დარბაზში შეიხედა მეოცნებე ბიჭის სანახავად, ის იქ არ დახვდა... ოცნებას სადღაც წაეყვანა.



ლუარა გორდიაძისი



კარგა ხანია ცის სივრცეში დაეფრინათ, მაგრამ ალბათ სულ სხვაა ცაში ჩიტოვით ქოლვა - ამ შტერნებს გვაძლევს სიზმარი. რა ბედნიერება, როდესაც სიზმარში ლაღად დაფრინავ ცოურ სხეულებთან სულ ახლოს - ქედებს გადაჭრილებ, ღრუბლებიც კი გამტკიცებინათ თავიანთ ფეხვკ საგარდებში - იქნებ ცოტა ხნით მაინც დაისწრო და დატოვებ ცის განუყოფრებული და დაფრული მშვენიერებით. მაგრამ ფრენის დაუყოვნებელი თნი ამ მეფურ სიამონებაზე უარს გათქმევენებს.

გაღვიძება. გაული გავაშუბა. ეს მოლოდ სიზმარი იყო. ნათქვამია: ჩიტი ფრთებით შეცნობაო და სწორედ ამიტომ გვიანდა გესაბობოთ იმ ფრინველზე, რომელსაც ყველაზე ძლიერი და ულამაზესი მშვენიერობის ფრთები აქვს, და რომელიც კიდევ ბევრი სხვა შესანიშნავი თვისების გამო ფრინველთა სამყაროს მეფედ არის აღიარებული.

ეს გახლავთ არნივი. არნივი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ქოლას, სრბოლას, ლოვლივს. შუა საუკუნეებშიც და დღემდე არნივი ღერბთა სამკაულია, ძლიერებისა და ძალაუფლების სიმბოლე. არსებობს არნივის სხვადასხვა სახეობა. მაგრამ მალაღობთან სარტყელში, თუ ევროპისა და აზიის ვრცელ ტყეებში, უდაბნოებსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ავრეიკაში, თუ რუსეთის სამხრეთში, შუა აზიაში ის ჩრდილოეთ ამერიკაში, ყველან თავზარდაძებში, მომწესველია იგი შესახებადობთა თუ ძლიერებით.

არნივის სხეულის წონა 6 კგ-მდეა, გარეთა და შუა თითების ბრწყალები ძლიერ განვითარებული აქვს, ფრთების შიშლი 2-2,5 მდე აღწევს; გრძელი, განიერი და ბოლომომრგვალებული თითები ერთიან ბუმბულით აქვს შემოსილი. როგორც მონადირე და მტაცებელი, არნივი შიშის ზარს სცემს ფრინველებსაც და ცხოველებსაც ცის სიმაღლიდან არნივი თავგასაც კი ხედავს, მას შეუძლია დიდბას, დიდბას და დიდი სიჩქარით იფრინოს ფრთების შეურთველად. საბუდარად არნივი განსაზღვრულ ადგილს ირჩევს უპირატესად მალაღობიანსა და მოწვედომელ კლდეებში. არნივთა ოჯახში (იგულისხმება დედალ-მამალი) არ ტოვებს ამ ადგილს ზამთრის მაცურ პირობებშიც კი.

დიდებული და ულამაზესი სანახავია არნივი მამონ, რიფსაც ზის ამ დაფრინავს, მაგრამ სიარულის დროს სასაცილო, მოუხეშავი და უწნეოა, თუმცა ეს მოლოდ ერთი შეხედვით დედალ-მამალი წველილ ყოველდღიურ ექსკურსიას ატარებს შუადიან, სწორად ერთიადიგვი მიმართულებით; მისი ქედებზე, თითის ეს იყოს მათი გზა, დაბლა ფრთით არნივი სპროლივებურად ეწეება მიწს, რათა შეუცდომლად თავს დაესხოს მსხვერპლს, ღუგავზე შეიკვდეს ფრთებს და სტყერით ეტეკოს მიწაზე - პირდაპირ მსხვერპლს დაატყრება და თათების ძლიერი დატყვებით აბრუნებს მას. წველილ ერთდროულად შეეძლება ნანადირევს.

ფრინველი. ჩვენი პლანეტის ერთერთი საოცრება. ფრინველთა სიძინობა და ფრეტი განუყოფრებელ თავიებურებას ანიჭებენ გარემოს, მშვენიერებითა და სიკეთით აქვებენ ბუნებას. ადამიანები მუდამ ოცნებობდნენ ესნავლათ ფრინველთა „ენა“. ამბობენ, ლეგენდარულ მეფე სოლომონ ბრძენს ჯადოსნური ბეჭედი ჰქონდა, რომლის საშუალებითაც ფრინველებთან და ცხოველებთან საუბარი შეეძლო. თუმცა რაღა შორს მივდივართ. ჩვენი დიდი პოეტის ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ გმირს - მინდიასაც ესმოდა ფრინველთა, ცხოველთა და მცენარეთა ენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფრინველებს თანდაყოლილი „ენა“ აქვთ, ადამიანი კი სწავლობს ლაბარას.

ადამიანი ხომ მოცნებება. პოდა, მოლოდ ფრინველთა და ცხოველთა ენის ცოდნის წყურვილი როდელ სტანჯავდა მას. ისიც უნდოდა, ფრინველით ლლაფ ეფრინა ცაში. მაგრამ ფრთები? ფრთები რომ არ ჰქონდა!!! მართალია, ტყეწიკის მეთხებით ადამიანები უკვე






ნადირობის შემდეგ არწივი დიდხანს ისვენებს ერთ ადგილზე და საკვებად ინილებს. არწივი F3 ვერცხს დებს ხეზე ან კლდეზე გაკეთებულ საიმედო - ბუდეში. კრუხობა გრძელდება 40-45 დღეს. დედალ-მამალი არწივი განსაკუთრებული ყურადღებითა და სინაზით ეპყრობიან მართვიებს. მართვე წელა იზრდება, მხოლოდ 5-6 წლის ასაკში აღწევს სრულყოფილებას, ნამდვილ, ღონიერულ დაფრთიანებას.

შეიძლება არწივის მართვის მოთვინიერება. იმდენად უხდება, და უჭევდა იგი პატრონს, რომ დიდი ხნით მისთან განაზრებას მტკიცეულად გახედის.

უპირატესად პატარა ბავშვებს, თავს ესხმის ანდემში გაერველებული კონდორიც. ძალიან გინდა უტყურო, მაგრამ თანაც გეშინია, როცა არწივი პაერში დაეღურავს და დანაფარდობს, ხან უმაღლესი მთის მწვერვალს გაუსწორდება, ხან წრეს ავლებს და საკბილოს ძენაში თავის გამჭირბას თვალს აცდევებს. უცებ ისარივით ძირს, დედამონისაკენ მოჰქრის, ჯოგიდან ბატკანს ან თიკანს მოიტაცებს, რამდენჯერმე შემოკრავს მძლავრ ფრთებს და ნადვლით კლანჭებში ისევ უკან მიეცენება. შეუპოვარი რამ არის არწივი ასეთ ნუთებში, ვერაფერი ვერ ამინებს - ვერც მწვემის ყვირილი, ვერც ძალე მის ყევა. ის ყველასი და ყველაფრის პატრონია ამ დროს და, აღწევს თუ არა ცის თაღს, გამარჯვე ბულად გაჰკივის, მუულღეს უხმობს სადღლად. მუულღეს სწრაფადვე გამოწნდება და ორივენი კლდე-საკენ მიემუურებიან სატრიაგებოდ.

დიახ, ცაში სა-მეგო ტახტს არწივის ვერაფერ შეეცილება.

არწივის სიცოცხლის ხანგრძლივობა 80 წელს აღწევს. არწივის სახეობათა შორის ყველაზე საშიში და თავზარდამცვე მია ფსოვი - ძლევაშისილი, ღონიერი, ლაშვი და თამაში, იგი შიშის ზარს სცემს ადამიანებსაც კი. ადამიანებს,



მხატვარი: ბობრანი ნახაგინიძე

სამეფო პატიმრები



ძველად იტალიაში ყველა ქალაქი სამეფო იყო, სამეფო ტახტზე კი მეფე იჯდა.

ჰოდა, ერთ ამხარ ქალაქში მოხუცმა მეფემ თქვენი ქირი წაიღო და მეფის გვირგვინი მისმა ვაჟმა დაიდგა თავზე. ჭაბუკმა მეფემ, უწინარეს ყოვლისა, თავისი სამფლობელოს დათვალაიერება მოინადინა.

პირველი ვებირისა და მთავარი მრჩევლის თანხლებით, თეთრ ცხენზე ამხედრებულმა შემოიარა თავისი საბრძანებელი. მადლობა დმერთს, სამეფო დიდი არ იყო. შუადღისას რომ გავიდა სახლიდან, მზის ჩახვამადე უკან მობრუნება მოასწრო.

ჭაბუკი მეფე ტახტზე დაბრძანდა და იკითხა:

- ყველაფერი დავათვალაიერეთ?

- არა, ყველაფერი არა, - ერთხმად მიუგეს პირველმა ვებირმა და მთავარმა მრჩეველმა, - თქვენს უდიდებულესობას სამეფო დილეგაც აქვს, რომელშიც სამეფო პატიმრები არიან გამოწყვდეულნი.

- ახლავე ისიც უნდა მოვიწახულო - წამოიძახა მეფემ და ტახტიდან წამოსტა.

- კი მაგრამ, უკვე ჩამობნელდა, - ჰკადრა პირველმა ვებირმა.

- ჩამობნელდა და ჩამობნელდეს, - მიუგო მეფემ, - ეს თუ ნამდვილი დილეგია, შიგ დღისითაც უნდა ბნელოდეს. მსახურებს უბრძანეთ, მახალღები აანთონ და უკან მომყვიეთ.

მშიერ-მწყურვალი და ჩამომჭენარ-ჩამოყვითლებული პატიმრები ბორკილების ჩხარუნით ჩამწყრივდნენ მბრძანებლის წინაშე. - რა დააშავე, შე საცოდავო? -

ჰკითხა მეფემ პირველ პატიმარს.

- ოჰ, თქვენო უდიდებულესობავ, არაფერიც არ დამიშავებია: ქუშიში მტაცეს ხელი და ამ დილეგში ჩამაგდეს.

- შენ რაღა ბრაღი მიგიძღვის? - ჰკითხა მეფემ მეორეს.

- ღმერთმა ხომ იცის, რომ უბრალო ვარ, - ცრემლების ფრქვევით მიუგო მან, - შინ შემომივარდნენ და აქ მიკრეს თავი.

- შენ? - ჰკითხა მეფემ მესამეს.

- ღმერთო დიდებულო, ეგ რომ ვიცოდე! ლოგინიდან წამომავდეს და პირდაპირ ამ ჯოჯოხეთში ამომაყოფინეს თავი. მეოთხეს, მეხუთეს და მეათესაც იმავე კითხვით მიმართა მეფემ. ყველა იფიცებოდა - ღმერთი, რჯული, ხატი, არ ვიცით, რა შევცოდეთო.


ბოლოს მეფემ უკანასკნელ პატიმარს ჰკითხა, შენ რაღა ბრაღი მიგიძღვისო!

- ეჰ, თქვენო უდიდებულესობავ, - მიუგო მან, - მე რომ ბრაღი მიმიძღვის, იმდენი ქვიშაც არ ყრია ზღვაში: ქურდობა, ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა...

- უჰ, შე არაშხადავ! - შეწყვირა მეფემ, - მეფეო, აქ რა გინდა! რა ხელი გაქვს ამ პატიოსან ხალხთან! აბა, სწორედ შენ გაგაფუჭებინებ ამ ჩემს სამეფო პატიმრებს! თავიდან მომწყდი, თვალით აღარ დაეწახო!

და თავის მსახურებს უბრძანა, ბორკილები აეყარათ და კინწისკვრით გაეგდოთ გარეთ.

იბალიურიდან თარგზა
ბარანა ბრანავაძემ




ეთერი და მარიამ



მხატვარი ეკა ბაზია

ერთი ციციქა გოგონები -
ეთერი და მარიამ,
მუდამ ერთად თამაშობენ,
მუდამ ერთად არიან.
ერთნაირი კაზები აქვთ, -
ბუბოს შეკერილები,
ერთნაირი ჯიბეებით,
ერთნაირი ლილებით.
ერთნაირი ტუჩები აქვთ,
ერთნაირი კბილები...
საზიარო თოჯინა ჰყავთ,
საზიარო მელია,
ერთნაირად უკრავენ და
ერთნაირად მღერიან.
ბევრი რამე,
ბევრი რამე
საზიარო ჰქონიათ.
მაგრამ მათი ნაჩხუბება
არვის გაუგონია.
ის კი არა, თურმე დედაც
საზიარო აყოლიათ.
იცით ერთუთრის რატომ ჰგვანან
ეთერი და მარიამ?
თურმე ტყუპები ყოფილან,
თურმე დები არიან!



იპოვეთ, რა სახეები იწყება ამ ნახაგზე ასო
ს-ანით და ჩახვით მათი დასახელებები კროსვორ-
დის შესაბამის უკრებში. ვაითვალისწინეთ, რომ
პირველი ასო **ს** უკვე წერია.

მხატვარი ლეზა სულაქაური

ოდოში

ლადო ასლანაზიშვილი



გუშინ თანდილა პაპა მინდორში ყანის დასახედად წავიდა. მე და ჩემი უმცროსი ძმა გიორგიც ავეტუნტულეთ. გაცედით სოფლის ბოლოში. იქიდან იწყება პურის ყანები.

თავთავებს ოქროსფერი შეპარვოდათ. ველის ნიაყი გადახდიოდათ ზედ, ზღვასავით ლელავდა ყანა. აქა-იქ ჩიტები დასეოდნენ თავთავებს და ჩირჩნიდნენ.

- შაი, შაი! - შესძახა პაპამ და ხელები აიქნია. მე და გიორგიმაც მივბაძეთ პაპას. ჩიტები დაფრთხნენ. შორს გადავირვენენ ყანას.

თანდილა პაპამ თავთავი მოწყვიტა, თითებით მოსინჯა, ხელის გულზე ჩაიფშვნიტა და მარცვალი კბილით გაღეჭა.

- ჯერ ნედლობს, ოდოშიყვრია. ათიოდე დღე მზიანი ამინდები თუ დაიჭირა, თავთავი დამწიფდება და ყანა სამკალი გვექნება! - თქვა პაპამ.

თავთავი ხელის გულზე მე და გიორგიმაც ჩაფშვნიტეთ, ხორბლის მარცვალს მხელად სცილდებოდა ჩენჩო.

გიორგიმ პაპასავით გაღეჭა მარცვალი.

- ნედლია!
- ბიჭებო, ოდოში გიტამიათ? - გვკითხა თანდილა პაპამ.

- ოდოში? რა არის ოდოში? - პასუხის მოლოდინში პაპას შევაჩერდით.

- გაიქეცით აგერ იქ, ყანის თავში კალო როა, - პაპამ ხელი გაიშვირა, - მოაგროვეთ ჩალა-ბულა და მეც მალე მოვალ!

მე და ჩემი ძმა ყანის თავში გავვარდით. მოვაგროვეთ კაჭაჭი, შარშანდელი მზის-

გან გავფცხებული ნამჯა, კიდევ რალაც-რალაცები და კალოზე ერთ ადგილას დავაქუჩეთ.

მოვიდა თანდილა პაპა, ილიაში ძირიანად, მინიდან ამოგლეჯილი რამდენიმე ბლუჯა თავთავები ამოეჩარა. თავთავები ძირს დაყარა და ჯიბიდან ასანილი ამოიღო.

ჩვენ გავაციცებით ვუყურებდით, რა მოხდებოდა.

პაპამ მოგროვილ ჩალა-ბულას ცეცხლი შეუწთო. ალი კოცონივით ცისკენ ტკაცუნით ავარდა. პაპამ ძირს დაყრილი თავთავები ერთად მოხვეტა და ცეცხლის ალზე დაიჭირა, გატუსა, თავთავებს რუხი ფერი დაედო, შაერში მოხალული ხორბლის სასიამოვნო სუნნი დადგა.

პაპამ რამდენიმე გატუსული თავთავი ღეროებს მოაწყვიტა, ხელით მოფშვნიტა და შეუბერა, ჩენჩო მოაცილა. მარცვალი მუჭით პირში შეიყარა და დაღეჭა.

- კარგია! რალას მიყურებთ, გაუსინჯეთ გემო ოდოში!

მე და გიორგიმაც მოვფშვნიტეთ ხელის გულზე თავთავები, შევუბერეთ და ცეცხლზე ალანძული მარცვალი მუჭით პირისკენ გავაქანეთ.

- იუ, რა გემრიელია! - მოეწონა გიორგის და თავთავებს ისევ დაუნყო ფშვნიტა.

- ახლად გამომცხვარი პურის გემო აქვს! - ვთქვი მე.

- თქვენხელა რომ ვიყავი, მაშინ ომი იყო. პური ცოტა გვემოკვებოდა. შიმშილი რომ მოგველა, ზოგჯერ ოდოშითაც გავგვეკონდა თავი! - გვითხრა თანდილა პაპამ.

მალვობარა

უკლები ჩემს შვილიშვილის
ნაწული კიკინას

ენ არ მიცნობს მალვიდარას!
 ჩემი ზარი მრავალს ზარავს,
 ამიტომაც მეტსახელად
 ზოგი მარქმევს აბუზარას.
 აბუზარა მარქვან თუნდაც,
 ზარი მაინც ვრეკო უნდა,
 რომ დროულად გავადიძო
 ძილქუშა და ძილისგულა.
 თუმც ამ დილით ჩემს წკრიალს
 ძილისგულა აბუზუნდა,
 ჩამკრა თავში, გამებურტა
 და კედლისკენ გადაბრუნდა.
 კვლავ მომართეს ჩემი ზარი
 ზოგისათვის აბუზარი,
 მითხრეს: - რეკე, რეკე, უნძმლო
 ეს შინარა გაგვიღვიძო!
 და მეც ვრეკე, ვრეკე ისე,
 ვით მწვევია გაბმით მუდამ,
 როგორც იქნა გავადვიძე
 გაბურტული ძილისგულა.



მხატვარი თაზა რიჭამაძე

მანისქვილა და მინდი

F-6599



მეწისქვილე ხორბლის დაფ-
 ქვისთვის მთელი ფქვილის 1/10-ს
 ითხოვდა მინდად.
 რამდენი ფქვილი გამოვიღოდა
 ხორბლიდან, თუ მინდის მიცემის
 შემდეგ გლეხს ერთი გომარა
 ფქვილი დარჩებოდა?

ბავშვებო, ნახატზე ხედავთ ინსტრუმენტული
 ლეგსად პროექტორების შუქი დაპნათის ამ
 სახელება, რომლებზეც ეს ბავშვები უკრავენ.
 სწორად ამოირჩიეთ მათი დასახელებები და
 დაირა, საქსაფონი, ჩელო, საყვირი,
 კლარნეტი, პიანინო, ფლეიტა, გიტარა,

ანსამბლის მონაწილე გოგონებსა და ბიჭებს, რომ
 შუქში თქვენ უნდა ჩანერთ იმ საკრავების და-
 ჩვენ ჩამოგივლით სხვადასხვა საკრავს, თქვენ უნდა
 ჩანერთ სხვებში:
 ვალტორნა, თეფშები, ორღანი, ვიოლინო,
 დოლი, სალამური...



შხატარი ბიორბი ჩარანიძე



ერატოსთან სავარი

ერატოსთან
სავარი

თუ 5 ვაშლი გვაქვს, ორ ძმას, ზვიადსა და ცოტნეს მათ თანაბრად ვერ გავუნაწილებთ, თუ ერთ-ერთი ვაშლი არ გავჭერთ. სუთი ვაშლი გაუჭრელად მხოლოდ სუთ-მა ბავშვმა შეიძლება გაიყოს. ამ შემთხვევაში თითოეულს თითო ვაშლი შეხვდება. ისეთ რიცხვებს, რომლებიც მხოლოდ თავის თავზე იყოფიან, მარტივი რიცხვები ეწოდება. მარტივი რიცხვებია: 1, 2, 3, 5, 7, 11, 13, 17 და სხვ.

თუ 6 ვაშლი გვაქვს, ეს ვაშლები შეგვიძლია თანაბრად გავუნაწილოთ 2 ბავშვს, 3 ბავშვს და 6 ბავშვს. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ 6 იყოფა 2-ზე, 3-ზე და 6-ზე. ასეთი თვისების მქონე რიცხვებს შედგენილი რიცხვები ეწოდება. შედგენილი რიცხვებია: 4, 6, 8, 10 და სხვ.

ბერძენმა მეცნიერმა ერატოსთენემ, რომელიც ორი ათასი წლის წინ ცხოვრობდა, შეადგინა მარტივი რიცხვების ცხრილი, ვგრეთ ნოდებუი ერატოსთენეს საცერი. იგი საშუალებას იძლევა განვაცალკევოთ ერთმანეთისაგან მარტივი და შედგენილი რიცხვები.



საპრემიუმი
ბიზნესული
ბიზნესული



მზინა ჩხაბინანი

ქილისპირული

ვარეთ ვიღაც ფანჯრებდა!
 ჩქამი იყო... ფანჯრების...
 წაიხურეს დათუხებმა
 თბილზე თბილი ტკაპ-ტკაპი...
 ამრიღდა ნაქურსელა -
 დედა თათუს ნაქუხები, -
 ბუბა, ბუბა ქაქუხელა,
 ჩაუთბებით და ვაუუუქდებით...
 ძილი უკვე მიჯნით დადის
 ფაჩი-ფუჩა ფანჯრებით.
 ნანას გრეკვის თათუ ბელვებს, -
 ნანა, ჩემს ტკბილ დათუხელებს...
 ბავა-ბუჯი ხვრინავს ბნელში,
 ვურ ისევებს თათუჩელა,
 - თელა ქარში რატომ კვხვისნი,
 დე, ჭრილობა არ ურჩება!
 - ვინ ვითხრა რომ არ ურჩება!!
 დაიძინე, თათუჩელა! -
 გაიბიჩნეს კიდევ ერთხელ
 ქონში ძილის ფანჯრებმა...
 ნანა, ჩემო ბავა-ბუჯი,
 ნანა, ჩემო თათუჩელა...
 ბუბა, ბუბა ქაქუხელა, -
 მართლუთის ნაქურსელა.

მხატვარი ნანა სანაია



რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს:

საქართველო
ბელა-ინტერესი



სანდრო აბესაძეს,
ანი ბეჟიტაშვილს,
ტასიკო ბეჟიტაშვილს,
გიორგი ბორისოვს,
ეკა გაბაშვილს,
ზუკა გაბრიჩიძეს,
გიორგი გაჩეჩილაძეს,
ლადო გაჩეჩილაძეს,
გნორგი გვაზავას,
ირინე გვაზავას,
ნუკა კობერიძეს,

ნიკა ლომიათიძეს,
ილიკო ლომოურს,
მარიამ მსხვილიძეს,
ანუკი წარმანიას,
გვანცა ცუცქერიძეს,
ანი შილაკაძეს,
ანიკო ჩანტლაძეს,
ნიკა ჩარკვიანს

მშობლებო, სურსათლებლო!
თუ გსურთ თქვენს პატარას
დაბადების დღე მიულოცოთ,
დაბრუნდით
სამი თვით ადრე.
დაგვიკავიათ: 93-10-32



ბურაბი კიბარიაძე

კურორტისკენ პარი-პარი!

ბავშვებს გვინდა გრილი სიო, ალარ გვინდა თბილი სიო, მიგვაქროლებს „ვილისიო“, ივლისს დარჩა თბილისიო; მთავ, შვერდზე რომ გიკეთია, ებ კურორტი კიკეთია?



ღაპით ხაროძა

ტელევიზორთან

ტელევიზორის ცქერაში იცნენ კრუტები გართული, უცებ გამოჩნდა წრუნუნა, ჩამოუარა „ქართული“.

აბტენ, თავი და თათბი ბევრი ახალეს მინაზე-თაგვები ისევ ცეკვაოდენ ციცუნების ჯინაზე-



შხატვარი თაბ მიძაბა



თავსაგახი

თრი „არასწორის“ შეკრებით მიღებული „სწორი“ პასუხი. თქვენს წინაშეა ლათინური ასოებით დაშიფრული ტოლობა. სიტყვა **WRONG** ინგლისურად ნიშნავს „არასწორს“, სიტყვა **RIGHT** „სწორს“.

ამ ტოლობაში ასოების ნაცვლად ჩასვით ციფრები, რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე ასოს ერთი და იგივე ციფრი უნდა შეესაბამებოდეს (ოღონდ არა ხელი). თუ სწორად ჩაბგამით ციფრებს, ტოლობა სწორი გამოვლავთ. ჩვენ გვინდა ცოტათი შემოგუშველით. დააკვირდით, იკრიბება ერთი და იგივე ასოები. ხუთნიშნას უმატება ხუთნიშნა და იდგით ისევ ხუთნიშნას.

იფიქრეთ...

WRONG
+
WRONG

RIGHT


12345



ამ ნახატზე გამოხსნულ სურათებს შევდივით აწერია სხეულები. მიუწერეთ ყველა სურათს თავ-თავისი სხეული.

ატარი ანა მგალობლიძე

რეზუსები



ყოველ სურათს უპირველთავე თავისი შეწვევი

პიორბი იბალიძე, 8 წლის

მთავარი რედაქტორი დოდო წიგნიძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხაია, ციციოს გამგრელიძე, გიორგი როინიშვილი, ნანა კვარაცხელია, ნანი კაკია, მადეა კვაჭანტირაძე, შერმაღინ ქაღანი, თენგიზ ჩალაური.

მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30

გამოსვლა 1904 წლიდან

ყაზე ნახატი ნინო პანკელაშვილია - ვანაიულის მთავარი სამმართველოს სამხატვრო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

დაბეჭდილია ბულგარეთში სარეკლამო გამოცემლობა „ლაზიერის“ მიერ

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი

ხელმოწერათვის: 2 ლარი



საქართველო
ბიზნეს-პრესა

